

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი
საბჭოს
სხდომა №43

დ დ ი ს წ ე ს რ ი გ ი :

სტუ-ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის, პროფ. ქეთევან ქოქრაშვილის მიერ, წარმომადგენლობით საბჭოზე დასამტკიცებლად შემოტანილი საკითხები:

1. ა) სტუ-ის 2010 წლის ბიუჯეტის პროექტის დამტკიცება;
ბ) სტუ-ის საშტატო განრიგის დამტკიცება;
გ) სტუ-ის დამხმარე პერსონალის სამსახურში მიღების წესის დამტკიცება;
დ) სტუ-ის დაცვისა და უსაფრთხოების განყოფილების შექმნა და დებულების დამტკიცება;
ე) სტუ-ის ზოგიერთი თანამშრომლისათვის სახელფასო დანამატების დამტკიცება;
ვ) სტუ-ის მოიჯარეთა განცხადებების განხილვა;
ზ) სტუ-ის თანამშრომელთა პრემირების საკითხის დამტკიცება;
თ) სტუ-ის ნაგებობების, სპეციალური სისტემებისა და საინჟინრო უზრუნველყოფის ინსტიტუტის ბიუჯეტში შესატანი ცვლილებების დამტკიცება;
ი) სტუ-ის არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის ბიუჯეტში შესატანი ცვლილებების დამტკიცება;
2. მოწვეული პროფესორების და მასწავლებლების სტატუსის შესახებ აკადემიური საბჭოს №187 დადგენილების დამტკიცება (მომხსენებელი სტუ-ის რექტორი, პროფ. ა. ფრანგიშვილი);
3. სტუ-ის სამეცნიერო-კვლევითი და სამეცნიერო-საინჟინრო ცენტრების შექმნის წესისა და დებულების პროექტების დამტკიცება (მომხსენებელი პროფ. ზ. მიქაძე);
4. სტუ-ის კვალიფიკაციის ამაღლების და გადამზადების ცენტრის დებულების დამტკიცება (მომხსენებელი სტუ-ის რექტორი, პროფ. ა. ფრანგიშვილი);
5. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტში თეორიული ფიზიკისა და ნანოოპტიკის სამეცნიერო კვლევითი ცენტრის შექმნისა და ამ ცენტრის დებულების დამტკიცება (მომხსენებელი პროფ. ზ. მიქაძე);
6. საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში სამშენებლო ფაკულტეტზე წყლის ხარისხისა და ტექნოლოგიების სამეცნიერო ცენტრის შექმნისა და ამ ცენტრის დებულების დამტკიცება (მომხსენებელი პროფ. ზ. ციხელაშვილი);
7. სტუ-ის ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის სტუდენტთა: გ. ფირცხალავას, ა. ვახანიას, ვ. სარიას და გ. მოსულიშვილის განცხადებების განხილვა და აკადემიური საბჭოს №191 დადგენილების დამტკიცება (მომხსენებელი პროფ. ზ. წვერაიძე);
8. მიმდინარე საკითხები.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს

2009 წლის 28 დეკემბრის სხდომის

ოქმი №43

წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომას, სიითი შემადგენლობის 69 წევრიდან, ესწრებოდა 37. სხდომას უძღვებოდა სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერი, პროფ. ეკატერინე თევზაძე.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგი (იხ. დანართი) და კენჭისყრაზე დააყენა მისი დამტკიცების საკითხი.

წარმოდგენილ დღის წესრიგს კენჭი ეყარა ერთხმად.

სპიკერმა მიმართა საბჭოს წევრებს, რათა აერჩიათ ხმის დამთვლელი კომისია 3 კაცის შემადგენლობით. დასახელდა საბჭოს შემდეგი წევრები: პროფ. მალხაზ ხუციშვილი, პროფ. ნინო ნიკვაშვილი, პროფ. ვანო ჭიაურელი.

წარმოდგენილ კანდიდატურებს კენჭი ეყარა ერთხმად.

სპიკერმა დღის წესრიგის პირველი საკითხის განხილვამდე სიტყვა გადასცა არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტის დეკანს, პროფ. გოჩა მიქიაშვილს. დეკანმა საბჭოს წევრებს წარუდგინა ამავე ფაკულტეტის მაგისტრი ნიკა მაისურაძე, რომელმაც კულტურის სამინისტროს მიერ გამოცხადებულ არქიტექტორთა კონკურსში გაიმარჯვა და აღნიშნა, რომ მისი პირველი რეალური ნამუშევარი აღიმართება მთაწმინდაზე (ხელმძღვანელი, პროფ. შოთა ბოსტონაშვილი). საბჭოს წევრებმა წარჩინებულ მაგისტრს მიულოცეს გამარჯვება და უსურვეს შემდგომი წარმატებები.

სპიკერი – გადავიდეთ დღის წესრიგის პირველი საკითხის ა) პუნქტზე – სტუ-ის 2010 წლის ბიუჯეტის პროექტის დამტკიცება – მომხსენებელი სტუ-ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი (იხ. დანართი 1, 2, 3, 4).

პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი – ბიუჯეტის პროექტი განხილულია წარმომადგენლობითი საბჭოს საფინანსო-ეკონომიკური საკითხების შემსწავლელი მუდმივმოქმედი კომისიის სხდომაზე. ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილი 24 098 984 ლარს შეადგენს. ხარჯვით ნაწილში შედის სტუდენტების მიერ გაწერილი პროგრამებიც, მაგრამ ამ დონისძიებების ნაწილი ჩაშლილია, ნაწილი წასულია სპორტულ დონისძიებებში, სემინარებსა და კონფერენციების მოწყობაში. გარდა ამისა, სტუ აგრძელებს შესყიდვებს, ვიხდით მოგების გადასახადს, კომუნალურ გადასახადს, ქონების გადასახადს და ა.შ.

პროფ. მალხაზ ხუციშვილი – წყლის გადასახადი ელენერჯის გადასახადზე მეტია, რით აიხსნება? ბიუჯეტში სტიპენდიებზე არაფერია ნათქვამი, აღარ გავცემთ?

პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი – წყალი იყო 2 საათამდე მომავალში კი ოთხ საათამდე იქნება. წლის განმავლობაში მოხდება კორპუსების გამრიცხველიანება. რაც შეეხება სტიპენდიებს, ეს მოდის სახელმწიფო ბიუჯეტიდან და ჯერ არ ვიცით რა თანხა იქნება.

პროფ. გივი გოლეტიანი – სასწავლო პრაქტიკისთვის გამოყოფილი ხარჯები გაზრდილია, მაგრამ ახლოსაც ვერ მოდის მის მოთხოვნასთან.

პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი – ყველა ფაკულტეტმა თავად დაამტკიცა თავისი ბიუჯეტი. ამაზე უნდა გემსჯელათ თქვენი ფაკულტეტის საბჭოზე.

სტუ-ის რექტორი, პროფ. არჩილ ფრანგიშვილი – სტუ-ში მოძველდა ლაბორატორიული დანადგარები, ახალი დანადგარები რომელიმე ვიცით? არა. უნდა ჩამოვაყალიბოთ კომპეტენციები, რომელიც გვეტყვის რა გეჭირდება. ვთხოვეთ დეკანებს, წარმოედგინათ ლაბორატორიების განახლებისათვის უახლესი ტექნიკა და ტექნოლოგიები. ლაბორატორიის განახლებაზე არც ერთი ფაკულტეტიდან არ შემოსულა განაცხადი. ამ ფონდით სხვებმა ისარგებლეს. ან გვაქვს კი ადგილი, სადაც შეიძლება ამის განთავსება?

პროფ. დავით ჯაფარიძე – ჩემი აზრით, ბიუჯეტი მატებით არის დაგეგმილი $\approx 3\ 000\ 000$ ლარი (ადრე ბიუჯეტი 21 მილიონს შეადგენდა, ახლა 24 098 984 ლარი არის დაგეგმილი). ეს გამოიწვია სტუდენტთა კონტინგენტის ზრდამ. ბიუჯეტი ძირითადად ორიენტირებულია სოციალურ საკითხებზე, განვითარებაზე ნაკლებადაა ორიენტირებული. ეს, რა თქმა უნდა, ვერ შეესაბამება უნივერსიტეტის განვითარების სტრატეგიას.

ხარჯები უნდა გაიწეროს სწორად, ძირითადი პრობლემაა გათბობის საკითხი. ნაშთის სახით გვაქვს 2 000 000 მილიონი ლარი და იქნებ მოვნახოთ რეზერვები ბიუჯეტში და კვარტლის ბოლოს გადავწყვიტოთ გათბობის საკითხი, შემდეგ კი სასწავლო ინვენტარის შეძენაზეც ვიფიქროთ.

ეკონომიკური საქმიანობა ერთსა და იმავე მდგომარეობაშია. უნდა შემუშავდეს ეკონომიკური პროგრამა, რათა შემოსავლები გაიზარდოს. გვაქვს ტექნიკური განყოფილება – კომპიუტერული ქსელის მართვის ცენტრი და დღეს იქ მიმდინარეობს სწავლება. შევქმნათ ერთიანი ცენტრი, რომელიც მოემსახურება მთლიანად კომპიუტერულ პარკს. ეს ეკონომიკასაც წაადგება და ბიუჯეტშიც გვექნება რეზერვი. მარტში დავადგინოთ მიზნობრივი პროგრამები. მუხლობრივად გაგწეროთ ყველაფერი და ბიუჯეტი შეიკვრება.

სტუ-ის რექტორი, პროფ. არჩილ ფრანგიშვილი – ჩვენ გვინდა განვითარება და ეს 2 გზით მოხერხდება. როცა ლაპარაკია, რომ გვაქვს

ინფორმატიკის ფაკულტეტი და გვეყვას 5 000 სტუდენტი, გვინდა "ალტა"? I კორპუსში გვექონდა პრეზენტაცია გერმანელებთან და შემოგვთავაზეს, რომ სტუ-ს მათთან ერთად დაეწყო კომპიუტერების წარმოება. ამისათვის გვეჭირდება ლიცენზია. პრობლემა ბევრია. ვიწყებთ III-IV კორპუსების გათბობას. ძალიან რთულია I კორპუსის გათბობა, აქ დიდ პრობლემას ფანჯრები წარმოადგენს.

პროფ. ჯუმბერ იოსებიძე – არის მითქმა-მოთქმა, რა ხდება რომ რემონტდება ადმინისტრაციული კორპუსი და სხვა კორპუსები იყინება? იქნებ განგვიმარტოთ.

პროფ. დავით ჯაფარიძე – შემთხვევით არ წამოვიწყე საუბარი გათბობის პრობლემაზე. განგვიმარტავთ, რომ 2009 წლის მარტში განათლების სამინისტროს მიერ ადმინისტრაციული კორპუსის გასათბობად გამოყოფილ იქნა 908 569 ლარი. იყო ინფორმაცია, რომ შეიძლება ეს თანხა ვერ მოეცათ, მაგრამ ოქტომბრის ბოლოს დაიწყო ამ თანხის ინტენსიურად გადმორიცხვა. 213 356 ლარი გამოიყო სტუ-ის ადმინისტრაციული კორპუსის სარეკონსტრუქციო სამუშაოებზე, 74 421 ლარი შემოტანილ იქნა სინქრონული აპარატურისთვის, 39 346 ლარი – ჭედური მოაჯირების გასაკეთებლად, 167 167 – ლარი II კორპუსის სპორტული დარბაზისთვის, ხოლო 114 254 ლარი – ადმინისტრაციული კორპუსის ფასადის სარემონტო სამუშაოებისათვის. სამუშაოთა შესასრულებლად ტენდერი გამოცხადდა, ხელშეკრულება დაიდო ისე, რომ არ გაუვლია ჩვენი საბჭო. ბრძოლა და მოთხოვნები რომ არ ყოფილიყო, არ იქნებოდა ეს თანხა. მომავალში გვექნება მაღალი დონის ოფისები და შეგვეძლება ჩავატაროთ საერთაშორისო დონის შეხვედრები.

სტუ-ის რექტორი, პროფ. არჩილ ფრანგიშვილი – ბატონი დავითი მართალია. სტუ-ის ბიუჯეტიდან არც ერთი ლარი არ წასულა რემონტში. თსუ-სა და ჭავჭავაძის უნივერსიტეტსაც ჰქონდა გამოყოფილი თანხა, მაგრამ ვერ აიღეს, რადგან ხაზინა დახურულია, ჩვენთან კი მოდის ფული. განვითარება ჩვენი უნივერსიტეტისათვის სამი რამაა: ინოვაცია-სწავლება-წარმოება. მას ტექნოპარკი ჰქვია. აუცილებელი კომპონენტია ადგილი, სადაც შეიკრიბებიან სპეციალისტები და იტყვიან რა უნდათ. ვამზადებთ მცირე სააქტო დარბაზს ოთხ ენაზე სინქრონული თარგმნისთვის, 50-კაციან "მითინგ ჰოლს". ფული უნდა შემოდოდეს არა სწავლის გადასახადიდან, არამედ ამ წყაროებიდან.

სპიკერმა კენჭისყრაზე დააყენა სტუ-ის 2010 წლის ბიუჯეტის დამტკიცების საკითხი. წარმოდგენილ საკითხს კენჭი ეყარა ერთხმად.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

წარმომადგენლობითი საბჭოს

2009 წლის 28 დეკემბრის №43 სხდომის

ბ ა ჯ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №1

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის 2010 წლის

ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ

წარმომადგენლობითი საბჭოს 2009 წლის 28 დეკემბრის №43 სხდომაზე, სტუ-ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა დასამტკიცებლად წარმოადგინა სტუ-ის 2010 წლის ბიუჯეტის პროექტი. მან აღნიშნა, რომ წარმოდგენილი ბიუჯეტის პროექტი ა.წ. 25 დეკემბერს განხილულ იქნა სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს საფინანსო და ეკონომიკური საკითხების შემსწავლელი მუდმივმოქმედი კომისიის სხდომაზე. არსებობს კომისიის დადებითი დასკვნა (იხ. კომისიის დასკვნა).

სტუ-ის წარმომადგენლობითმა საბჭომ იმსჯელა სტუ-ის 2010 წლის ბიუჯეტის პროექტზე და **გ ა ჯ ა წ ყ ვ ე ტ ა:**

მუხლი 1. დამტკიცდეს სტუ-ის 2010 წლის ნაერთი ბიუჯეტი (დანართი №1).

საშემოსავლო ნაწილი განისაზღვროს 24 098 984 ლარის რაოდენობით:

მათ შორის:

1. სამეცნიერო გრანტები – 602 581 ლარი;
2. ფასიანი სწავლებიდან – 22 465 925 ლარი;
3. ეკონომიკური საქმიანობიდან – 1 030 478 (იჯარა – 325 478 ლარი; დეპოზიტი – 230 000 ლარი; სახელშეკ. თემებიდან და ცენტრ. შემოსავ. – 475 000 ლარი).

მუხლი 2. ხარჯვითი ნაწილი, კლასიფიკატორის შესაბამისად, განისაზღვროს 24 098 984 ლარის რაოდენობით:

მათ შორის:

1. 2010 წლის სახელფასო ფონდი – 18 243 431 ლარი;
2. შენობა-ნაგებობებისა და მოწყობილობების მიმდინარე რემონტის ხარჯები – 854 781 ლარი;
3. კომპიუტერული მოწყობილობებისა და ელექტრომოწყობილობების შექენა – 594 172 ლარი;
4. ელექტროენერგიის ხარჯები – 540 000 ლარი;
5. წყლის ხარჯები – 650 000 ლარი;
6. ბუნებრივი აირის ხარჯები – 396 800 ლარი;
7. ქონების გადასახადი – 200 000 ლარი;
8. მიწის გადასახადი – 15 000 ლარი;
9. მოგების გადასახადი – 130 000 ლარი;
10. დამატებული ღირებულების – 122 107 ლარი;
11. ეკონომიკური კლასიფიკატორის მიხედვით განსაზღვრული სხვა ხარჯები (დანართი №1);
12. და სხვა.

მუხლი 3. დამტკიცდეს სტუ-ის 2010 წლის ბიუჯეტის ადმინისტრირების ხარჯვითი ნაწილი (დანართი №2) და განისაზღვროს 6 277 756 ლარის რაოდენობით.

მუხლი 4. დამტკიცდეს სტუ-ის ფაკულტეტების 2010 წლის ბიუჯეტები (დანართი №3):

მათ შორის:

1. სამშენებლო ფაკულტეტის 2010 წლის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილი განისაზღვროს – 2 191 600 ლარით, ხარჯვითი ნაწილი – 1 413 740 ლარით;
2. ენერგეტიკის და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტის 2010 წლის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილი განისაზღვროს – 3 278 100 ლარით, ხარჯვითი ნაწილი – 1 879 635 ლარით;
3. სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტის 2010 წლის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილი განისაზღვროს – 1 150 200 ლარით, ხარჯვითი ნაწილი – 1 337 604 ლარით;
4. ქიმიური ტექნოლოგიის და მეტალურგიის ფაკულტეტის 2010 წლის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილი განისაზღვროს – 1 765 100 ლარით, ხარჯვითი ნაწილი – 1 870 046 ლარით;
5. სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტის 2010 წლის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილი განისაზღვროს – 2 946 650 ლარით, ხარჯვითი ნაწილი 2 062 276 ლარით;
6. არქიტექტურის, ურბანიტიკისა და დიზაინის ფაკულტეტის 2010 წლის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილი განისაზღვროს – 589 125 ლარით, ხარჯვითი ნაწილი – 833 808 ლარით;
7. ჰუმანიტარულ-სოციალური ფაკულტეტის 2010 წლის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილი განისაზღვროს – 5 292 450 ლარით, ხარჯვითი ნაწილი – 3 071 630 ლარით;
8. ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის 2010 წლის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილი განისაზღვროს – 5 252 700 ლარით, ხარჯვითი ნაწილი – 3 719 430 ლარით.

სულ ფაკულტეტების მიხედვით საშემოსავლო ნაწილი განისაზღვრება 22 465 925 ლარით, ხარჯვითი ნაწილი – 16 188 169 ლარით.

მუხლი 5. ბიუჯეტის მუხლის "საქონელი და მომსახურების" I პუნქტში გათვალისწინებულ იქნეს 6 დურგალი-მეშუმეს, 6 ასენიზატორისა და 6 დამხმარე მუშის ხელშეკრულებების საფუძველზე შრომის ანაზღაურების დაფინანსებისათვის საჭირო ხარჯები.

მუხლი 6. ნება დაერთოს ადმინისტრაციის ხელმძღვანელს სტუ-ის დამტკიცებულ 2010 წლის ბიუჯეტში წლის განმავლობაში დაუცველი მუხლების მთლიან ასიგნებებში განახორციელოს ცვლილებები 7%-ის ფარგლებში.

მუხლი 7. სტუ-ის 2010 წლის ბიუჯეტის შედგენის წესის შესაბამისად, ფაკულტეტების მიერ მიღებული ჭარბი შემოსავლების 70% დარჩეს მათ განკარგულებაში; ფაკულტეტების საბჭოების გადაწყვეტილებით, მიზნობრივი პროგრამების დასაფინანსებლად 30% ადმინისტრაციის მიერ შემუშავებული საუნივერსიტეტო პროგრამების დასაფინანსებლად.

სტუ-ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა (პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი):

1. ფაკულტეტების დეკანებთან ერთად უზრუნველყოს 2010 წლის ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვითი ნაწილების განუხრელი შესრულება;

2. შესაბამის სამსახურსა და ფაკულტეტის დეკანებთან ერთად ეკონომიკური კლასიფიკატორის მიხედვით, განსაზღვრული ხარჯვითი ნაწილის ყველა პარამეტრის შესაბამისად, შეიმუშაოს მიზნობრივი პროგრამები და დასამტკიცებლად წარუდგინოს წარმომადგენლობით საბჭოს 2010 წლის 1 მარტისთვის;
3. განიხილოს სტუ-ის კომპიუტერული პარკის მომსახურების გაუმჯობესებისა და ეკონომიკური საქმიანობის ეფექტური ამადლების მიზნით, საინფორმაციო ტექნოლოგიური განყოფილების და კომპლექსური ქსელის მართვის ცენტრის ბაზაზე, თვითდაფინანსების საფუძველზე კომპიუტერული მომსახურების უზრუნველყოფის ერთიანი საუნივერსიტეტო ცენტრის ჩამოყალიბების საკითხი და მიღებული გადაწყვეტილების შესახებ ინფორმაცია გაუკეთოს წარმომადგენლობით საბჭოს.

წარმომადგენლობითი საბჭოს წევრთა გადაწყვეტილებით, ერთხმად დამტკიცდა სტუ-ის 2010 წლის ბიუჯეტი (იხ. დანართი №1 2 3 4).

სპიკერი – განვიხილოთ დღის წესრიგის პირველი საკითხის ბ) პუნქტი – სტუ-ის საშტატო განრიგის დამტკიცება – მომსახურებელი სტუ-ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი (იხ. დანართი 5).

პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი – წარმოგიდგინო საშტატო განრიგს. აქ არის გარკვეული ცვლილებები, თუმცა ფინანსურად დიდი ცვლილება არ არის. ამ ხალხის 99% ხელშეკრულებით იყო აყვანილი. ჭარბი თანხის მატება მოდის მოწვეული პროფესორების ხარჯზე და ადმინისტრაციამ მიიღო გადაწყვეტილება, რომ ისინი გახდნენ შტატის თანამშრომლები.

პროფ. ნაომ ბოჭორიშვილი – რა ვადით აგვეყვას მოწვეული პროფესორები და მასწავლებლები?

სტუ-ის რექტორი, პროფ. არჩილ ფრანგიშვილი – მოწვეული პროფესორები და მასწავლებლები ხელშეკრულებით იყვნენ გაფორმებულნი და მათთან დაკავშირებით ფინანსური მატება არ გვაქვს. ესეც ხდება მათი შტატში აყვანა. რაც შეეხება ხელშეკრულებებს, ყოველწლიურად მოხდება მათი გადახედვა. თუ საათები არ იქნება, ისინი სამსახურს დაკარგავენ. მათ და აკადემიურ პერსონალს შორის ის სხვაობაა, რომ ისინი არჩევნებში ვერ მიიღებენ მონაწილეობას, თორემ ხელფასი იგივეა.

იყო შენიშვნები გარკვეული სამსახურებიდან, რომ ისინი ხომ არ ვაჩვენოთ შტატში? მიდგომა სწორია, მაგრამ შევხედოთ სიძნელეებს. გარკვეულ ფაკულტეტებზე არიან მასწავლებლები, რომელთა დატვირთვა შეადგენს 117 საათს, მათი შტატში აყვანა ვერ მოხერხდა. გადაწყდა, ვისაც ჰქონდა

დატვირთვა 300 საათი და მეტი გადავიყვანეთ შტატში, დანარჩენი დარჩა იგივე სიტუაციაში.

პროფ. მზია მილაშვილი – როგორია მათი სახელშეკრულებო ანაზღაურება?

სტუ-ის რექტორი, პროფ. არჩილ ფრანგიშვილი – ჩვეულებრივი.

პროფ. დავით ჯაფარიძე – ადრე ხელშეკრულებით აყვანილი ხალხი შტატში არ იყო გათვალისწინებული. იმატებს რა 552 საშტატო ერთეულით, ხარჯებიც 3 000 000-ით იზარდება შარშანდელთან შედარებით.

სტუ-ის რექტორი, პროფ. არჩილ ფრანგიშვილი – ადრე აკადემიური პერსონალი 930 ერთეულით იყო დამტკიცებული, რეალურად კი იყო 890 ერთეული. ახლა აკადემიური პერსონალი დამტკიცდა 1 112 ერთეულით, რეალურად 529 ერთეულით გვაქვს მატება. ეს იქიდან მოდის, რომ ფაკულტეტები ითხოვდნენ გაგვეთვალისწინებინა მათი მოთხოვნები, მაგრამ ეს არ იყო დაგეგმილი ადმინისტრაციის მიერ, ეს იყო საფაკულტეტო გადაწყვეტილება. საფაკულტეტო ხელფასები ზოგან შემოსავლების 97%-ია, ზოგან 130%. ამიტომ წელს ვერ გადავალთ საფაკულტეტო ბიუჯეტებზე, რადგან მოგვიწევს წამგებიანი ფაკულტეტების დახურვა.

1112+529+ახალი მოთხოვნები ქმნის ახალი ტიპის სამუშაოებს. სწორედ ამან გამოიწვია ხალხის აყვანა ხელშეკრულებით, თორემ ვერ შევხვდებოდით აკრედიტაციას მომზადებულები.

პროფ. დავით ჯაფარიძე – მართვაში ინერგება სტანდარტი, რომელიც განსაზღვრავს უნივერსიტეტის პრესტიჟს. შედგომ ოპტიმიზაციასთან დაკავშირებით, ალბათ მართვაშიც მოხდება ოპტიმიზაცია?

სტუ-ის რექტორი, პროფ. არჩილ ფრანგიშვილი – ოპტიმიზაციას იმ შემთხვევაში შევძლებთ, როდესაც ყველაფერი გვექნება გაწერილი. ჯერ ბევრი რამ არ ვიცით, რადგან ყველაფერი დასახვეწია: სასწავლო პროცესის მართვა, მენეჯმენტი – ეს არის სპეციალისტი, რომელიც ემსახურება პროცესებს.

1 სექტემბრიდან გვექნება გაკეთებული გამიჯვნები, 2 კაცი არ შეასრულებს ერთსა და იმავე საქმეს.

პროფ. დავით ჯაფარიძე – დავენერგოთ ყოველ სხდომაზე დეპარტამენტის და სამსახურების მუშაობის ანგარიშის მოსმენა.

სტუ-ის რექტორი, პროფ. არჩილ ფრანგიშვილი – იგივე განვაზოგადოდ ფაკულტეტებზეც, მაგრამ მაშინ მათი დახურვა მოგვიწევს, რადგან ზოგიერთის სახელფასო ფონდი 70%-ზე ზემოთ აქვს. დარჩება რამდენიმე ფაკულტეტი.

საშუალო საერთო საინსტიტუტო პროცენტი 65%-ია. სექტემბრიდან უნდა გადავიდეთ ახალ ჩარჩოებზე, სადაც მოხდება პროგრამების გამსხვილება. ამიტომ დღესვე უნდა დავიწყოთ მუშაობა, ჯერ კიდევ 1,2 მილიონი დარჩა საათობრივი დატვირთვა, ეს კი არ შეიძლება.

პროფ. დემურ ტალახაძე – საათები ხომ დამოკიდებულია მაგისტრანტებისა და დოქტორანტების რაოდენობაზე?

სტუ-ის რექტორი, პროფ. არჩილ ფრანგიშვილი – პროფესორის დატვირთვას თუ გადავხედავთ, იქ არიან დოქტორანტები, მაგისტრანტები და ბაკალავრები. თითო ხელმძღვანელს 5 დოქტორანტი ჰყავს. ამას არ ვკრძალავთ, მაგრამ მოვითხოვთ ხარისხს. ჩვენ შემოვიღებთ "ვაკ"-ს. დოქტორანტურა იგივეა, რაც ასპირანტურა. ყველაზე წარმატებული იყო ის, ვინც ჩაეტეოდა ვადაში (3 წელიწადში).

პროფ. აგული სოსხაძე – ვთქვათ მოვიწვიეთ პროფესორი 1 წლის ვადით, ის თუ წავიდა ვინ უხელმძღვანელებს მის დოქტორანტს? თუ ბაკალავრის შემთხვევაში ვანაწილებთ დატვირთვებს სასწავლო პროცესის დაწყებამდე, ასევე უნდა იყოს მაგისტრატურის და დოქტორანტურის შემთხვევაშიც. მაგისტრების და დოქტორანტების მიღება უნდა მოხდეს სწავლის დაწყებამდე, რათა დატვირთვების განაწილება მოხდეს დროულად და შეუფერხებლად. დოქტორანტი როდესაც მოდის ჩვენ ვაძლევთ მას თემას, რომელიც წარდგენილი გვაქვს დოქტორანტურის განყოფილებაში, არადა მას შეიძლება გარკვეული სამუშაო უკვე აქვს ჩატარებული და უნდა მისი გაგრძელება ამ თემით და არა იმ თემით, რასაც ჩვენ ვთავაზობთ.

სტუ-ის რექტორი, პროფ. არჩილ ფრანგიშვილი – თემას რომ ვაცხადებთ ეს სწორი არ არის, უნდა გამოვაცხადოთ პროგრამა. ტექნიკურ უნივერსიტეტში არის 68 პირი, რომელთაც უნდა დაეცვათ დისერტაცია გარდამავალ პერიოდში, მათ 30 ივლისის შემდეგ დაუნიშნეს დაცვები, საბჭოებმა არ იცოდნენ, რომ ეს არ შეიძლებოდა. ეს ხალხი ჰაერში ჩამოეკიდა. მათ 180 კრედიტი აქვთ დაგროვილი. რომელიმე მათგანი, რომ გაუშვიათ დაცვაზე არალეგიტიმურები იქნებიან. გადაწყდა, მათთვის გამოვაცხადებთ თემატიკებს, რომ შეძლონ დოქტორანტურაში მოხვედრა და შეგვიძლია 6 თვის მანძილზე გავიყვანოთ დაცვაზე.

პროფ. დავით ჯაფარიძე – დავამტკიცოთ საშტატო განრიგი და დავუტოვოთ რეზერვი ადმინისტრაციას, რომელსაც განსაკუთრებულ შემთხვევაში გამოიყენებს.

პროფ. კარლო ღურწკაია – მე ვერ წარმომიდგენია ინჟინერი, რომელსაც ეკონომიკური ანა-ბანა არ სჭირდებოდა. ზოგიერთმა დეკანატმა ეკონომიკა საერთოდ ამოიღო ან შეამცირა 10 კრედიტი 5-ით.

სტუ-ის რექტორი, პროფ. არჩილ ფრანგიშვილი – ეს აუცილებელი კომპონენტია. ჩვენ გაზაფხულზე უნდა დავჯდეთ და მოვიფიქროთ როგორ გავანაწილოთ პროგრამები. ვფიქრობთ იმაზეც, რომელი დარგის დოქტორებს გამოვუშვებთ. უნდა გამოიყოს ფილოსოფიაც და ეკონომიკაც. უნდა შემოვიღოთ საინჟინრო ეკონომიკა („Инженерная экономика“).

პროფ. დავით ჯაფარიძე – მიზნობრივი პროგრამები კვარტლების მიხედვით გავწეროთ.

პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი – შესყიდვების პროგრამები კვარტლურად გვაქვს გაწერილი, გარდა რემონტებისა (ამას დეკანები მოგვაწვდიან). ასევე, საშტატო განრიგში გაჩნდა დაცვის სამსახური თავის დებულებით.

სპიკერმა კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგის პირველი საკითხის ბ) პუნქტი – სტუ-ის საშტატო განრიგის დამტკიცება. წარმოდგენილ საკითხს კენჭი ეყარა ერთხმად.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

წარმომადგენლობითი საბჭოს

2009 წლის 28 დეკემბრის №43 სხდომის

გ ა ღ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №2

სტუ-ის სტრუქტურული ცვლილებებისა და შესაბამისი საშტატო განრიგის

პროექტის დამტკიცების შესახებ

წარმომადგენლობითი საბჭოს 2009 წლის 28 დეკემბრის №43 სხდომაზე, სტუ-ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა წარმოადგინა სტუ-ის 2009 წლის საშტატო განრიგში სტრუქტურული ცვლილებების და ამ ცვლილებების შესაბამისად 2010 წლის საშტატო განრიგის დამტკიცების საკითხი.

წარმომადგენლობითმა საბჭომ ერთხმად გადაწყვიტა:

• **დამტკიცდეს შემდეგი სახის სტრუქტურული ცვლილებები:**

1. რექტორის სამდივნოს დამატოს სამდივნოს უფროსის 1 საშტატო ერთეული, ყოველთვიური ხელფასით 1100 ლარი.

2. შეიქმნას სარედაქციო საბჭო შემდეგი საშტატო ერთეულებით:

2.1. სარედაქციო საბჭოს მდივანი - 1 საშტატო ერთეული, ყოველთვიური ხელფასით 550 ლარი;

2. 2. რედაქტორი - 1 საშტატო ერთეული, ყოველთვიური ხელფასით 550 ლარი.

3. გაუქმდეს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მოადგილის თანაშემწის საშტატო ერთეული, და შეიქმნას ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მდივან-რეფერენტის საშტატო ერთეული, ყოველთვიური ხელფასით 450 ლარი;

4. სწავლების დეპარტამენტის ფარგლებში შეიქმნას 2 განყოფილება (1. სტუდენტთა და პროფესორ-მასწავლებელთა მონაცემთა ბაზების ფორმირების და აკადემიური დატვირთვის განყოფილება და 2. სასწავლო პროცესის მართვის განყოფილება). აღნიშნულთან დაკავშირებით, დეპარტამენტს დაემატოს 10 საშტატო ერთეული, კერძოდ:

- 4.1. განყოფილების უფროსი - 2 საშტატო ერთეული, ყოველთვიური ხელფასით 1000 ლარი;
- 4.2. მთავარი სპეციალისტი - 5 საშტატო ერთეული, ყოველთვიური ხელფასით 550 ლარი;
- 4.3. უფროსი სპეციალისტი - 1 საშტატო ერთეული, ყოველთვიური ხელფასით 500 ლარი;
- 4.4. სპეციალისტი - 2 საშტატო ერთეული, ყოველთვიური ხელფასით 400 ლარი.

5. საერთაშორისო ურთიერთობათა და სტანდარტების სამსახურს დაემატოს 5 საშტატო ერთეული:

- 5.1. მთავარი სპეციალისტი - 1 საშტატო ერთეული, ყოველთვიური ხელფასით 550 ლარი;
- 5.2. უფროსი სპეციალისტი - 2 საშტატო ერთეული, ყოველთვიური ხელფასით 500 ლარი;
- 5.3. სპეციალისტი - 2 საშტატო ერთეული ყოველ თვიური ხელფასით 400 ლარი.

6. პერსპექტიული განვითარების სამსახურს დაემატოს 2 საშტატო ერთეული:

- 6.1. მთავარი სპეციალისტი - 1 საშტატო ერთეული, ყოველთვიური ხელფასით 550 ლარი;
- 6.2. უფროსი სპეციალისტი - 1 საშტატო ერთეული, ყოველთვიური ხელფასით 500 ლარი.

7. კომერციული ხარისხის დეპარტამენტში გაუქმდეს სპეციალისტის 1 საშტატო ერთეული და დაემატოს:

- 7.1. მთავარი სპეციალისტის 1 საშტატო ერთეული, ყოველთვიური ხელფასით 550 ლარი
- 7.2. უფროსი სპეციალისტის 1 საშტატო ერთეული, ყოველთვიური ხელფასით 500 ლარი.

8. სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან ურთიერთობის, სპორტისა და კულტურის განყოფილებას დაემატოს მთავარი სპეციალისტი - 1 საშტატო ერთეული, ხელფასით 550 ლ.

9. ადმინისტრაციის შემდეგ განყოფილებებს შეეცვალოთ დასახელება:

- 9.1. საგემო-საფინანსო განყოფილებას დაერქვას საგემო-საფინანსო დეპარტამენტი. დეპარტამენტის უფროსის ყოველთვიური ხელფასი განისაზღვროს 1100 ლარის რაოდენობით;
- 9.2. აღრიცხვა-ანგარიშგების განყოფილებას დაერქვას აღრიცხვა-ანგარიშგების დეპარტამენტი. დეპარტამენტის უფროსის ყოველთვიური ხელფასი განისაზღვროს 1100 ლარის რაოდენობით;
- 9.3. სამართლებრივი უზრუნველყოფის განყოფილებას დაერქვას იურიდიული დეპარტამენტი. დეპარტამენტის უფროსის ყოველთვიური ხელფასი განისაზღვროს 1100 ლარის რაოდენობით;
- 9.4. ადამიანური რესურსების მართვის განყოფილებას დაერქვას ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტი. დეპარტამენტის უფროსის ყოველთვიური ხელფასი განისაზღვროს 1100 ლარის რაოდენობით.

10. ადამიანური რესურსების დეპარტამენტს დაემატოს 2 საშტატო ერთეული:

- 10.1. უფროსი სპეციალისტი - 1 საშტატო ერთეული, ყოველთვიური ხელფასით 500 ლარი;
- 10.2. სპეციალისტი - 1 საშტატო ერთეული, ყოველთვიური ხელფასით 400 ლარი;

11. იურიდიულ დეპარტამენტს დაემატოს მთავარი სპეციალისტი - 1 საშტატო ერთეული ყოველ თვიური ხელფასით 550 ლარი.

12. აღრიცხვა-ანგარიშგების დეპარტამენტს დაემატოს 4 საშტატო ერთეული:

- 12.1. მთავარი სპეციალისტი - 2 საშტატო ერთეული, ყოველთვიური ხელფასით 550 ლარი;
- 12.2. უფროსი სპეციალისტი - 2 საშტატო ერთეული, ყოველთვიური ხელფასით 500 ლარი.

13. შეიქმნას სტუ-ს დაცვის განყოფილება და განესაზღვროს შემდეგი საშტატო ერთეულები;

- 13.1. განყოფილების უფროსი - 1 საშტატო ერთეული, ხელფასით 1000 ლარი;
- 13.2. განყოფ. უფროსის მოადგილე - 1 საშტატო ერთეული, ხელფასით 650 ლარი;
- 13.3. უფროსი სპეციალისტი - 2 საშტატო ერთეული, ხელფასით 500 ლარი;
- 13.4. სპეციალისტი - 3 საშტატო ერთეული ხელფასით 400 ლარი.
14. შესყიდვების ჯგუფის უფროსის ყოველთვიური ხელფასი განისაზღვროს 900 ლარის რაოდენობით, ნაცვლად 800 ლარისა.
15. საგამომცემლო სახელ „ტექნიკური უნივერსიტეტის“ დირექტორის ყოველთვიური ხელფასი განისაზღვროს 1000 ლარის რაოდენობით, ნაცვლად 900 ლარისა;
16. საგამომცემლო სახელ „ტექნიკურ უნივერსიტეტს“ დაემატოს 1 უფროსი სპეციალისტის საშტატო ერთეული, ხელფასით 500 ლარი;
17. საგამომცემლო სახელი „ტექნიკური უნივერსიტეტის“ დირექტორის მოადგილის ყოველთვიური ხელფასი განისაზღვროს 800 ლარის რაოდენობით, ნაცვლად 700 ლარისა;
18. საინფორმაციო ტექნოლოგიების განყოფილების უფროსის ყოველთვიური ხელფასი განისაზღვროს 1000 ლარის რაოდენობით, ნაცვლად 900 ლარისა;
19. ცვლილებები განხორციელდა სტუ-ის ყველა ფაკულტეტის საშტატო განრიგში. კერძოდ, თითოეულ ფაკულტეტს დაემატა თითო სპეციალისტის საშტატო ერთეული, ყოველთვიური ხელფასით 320 ლარი.
20. ცვლილება განხორციელდა ჰუმანიტარულ-ტექნიკური ფაკულტეტის საშტატო განრიგში. კერძოდ:
- 20.1. გაუქმდეს ლაბორანტის 1 საშტატო ერთეული და შეიქმნას ბიბლიოთეკარის (19.1) საშტატო ერთეული, სახელფასო განაკვეთით 330 ლარი თვეში;
- 20.2. გაუქმდეს უფროსი ლაბორანტის 8 საშტატო ერთეული და ლაბორანტის 3 საშტატო ერთეული და შეიქმნას სასწავლო პროცესის უფროსი მენეჯერის 11 საშტატო ერთეული, სახელფასო განაკვეთით 350 ლარი თვეში;
- 20.3. გაუქმდეს ლაბორანტის 19 საშტატო ერთეული და შეიქმნას სასწავლო პროცესის მენეჯერის 19 საშტატო ერთეული, სახელფასო განაკვეთით 330 ლარი თვეში;
- 20.4. გაუქმდეს ლაბორანტის 1 საშტატო ერთეული და შეიქმნას უფროსი ინჟინერ-პროგრამისტის საშტატო ერთეული, სახელფასო განაკვეთით 350 ლარი თვეში;
- 20.5. გაუქმდეს ლაბორანტის 2 საშტატო ერთეული და შეიქმნას ინჟინერ-პროგრამისტის 2 საშტატო ერთეული, სახელფასო განაკვეთით 330 ლარი თვეში;
- 20.6. რესურსების მართვის სამსახურის უფროსის ხელფასი განისაზღვროს 650 ლარის რაოდენობით, ნაცვლად 540 ლარისა;
- 20.7. სასწავლო პროცესების მართვის სამსახურის უფროსის ხელფასი განისაზღვროს 650 ლარის რაოდენობით, ნაცვლად 540 ლარისა;
- 20.8. ფაკულტეტზე საბანკო ტექნოლოგიების ლაბორატორიის შექმნასთან დაკავშირებით ფაკულტეტის საშტატო განრიგს დაემატოს შემდეგი საშტატო ერთეულები:
- 20.8.1. ლაბორატორიის ხელმძღვანელი - 1 საშტატო ერთეული, ხელფასით 380 ლარი;
- 20.8.2. ინჟინერ-პროგრამისტი - 1 საშტატო ერთეული, ხელფასით 330 ლარი;
- 20.8.3. უფროსი ლაბორანტი - 1 საშტატო ერთეული, ხელფასით 350 ლარი.
21. არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის საშტატო განრიგში შევიდეს ცვლილება:

21.1. გაუქმდეს ლაბორატორიის გამგის 1 საშტატო ერთეული და შეიქმნას მთავარი სპეციალისტის 0.5 საშტატო ერთეული, ხელფასით 250 ლარი.

- **დამტკიცდეს 2010 წლის სტუ-ის საშტატო განრიგი აღნიშნული ცვლილებების გათვალისწინებით 2009 წლის 31 დეკემბრიდან (იხ. დანართი 5).**

აღნიშნულთან დაკავშირებით არსებობს საფინანსო და ეკონომიკური საკითხების შემსწავლელი მუდმივმოქმედი კომისიის დადებითი დასკვნა (იხ. დასკვნა – 2009 წლის 25 დეკემბერი).

საშტატო განრიგით გათვალისწინებული სტრუქტურული ერთეულების მუშაობის ეფექტურობის ამაღლების მიზნით პრაქტიკაში დაინერგოს, წარმომადგენლობითი საბჭოს ყოველ მორიგ სხდომაზე, თითოეული სტრუქტურის ხელმძღვანელის ანგარიში ჩატარებული მუშაობის შესახებ. განხილვის შედეგად, ნაკლოვანებებზე, სათანადო რეაგირებისათვის, მასალები გადაეგზავნოს უნივერსიტეტის ადმინისტრაციას.

სპიკერი – გადავიდეთ დღის წესრიგის პირველი საკითხის გ) პუნქტზე – სტუ-ის დამხმარე პერსონალის სამსახურში მიღების წესის დამტკიცება – მომხსენებელი სტუ-ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი (იხ. დანართი 7, 7²).

პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი – დამხმარე სტრუქტურულ ერთეულებში მომუშავე თანამშრომლებს უმთავრდებათ ხელშეკრულება. ამიტომ საჭირო იყო გამოგვეტანა დამხმარე პერსონალის სამსახურში მიღების წესი, რომელიც შემდეგში მდგომარეობს:

1. ფაკულტეტების დამხმარე პერსონალის კანდიდატურებს, სტუ-ის საშტატო განრიგის მიხედვით, ფაკულტეტის დეკანები, ფაკულტეტის სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელებთან შეთანხმებით, წარუდგენენ სტუ-ის ადმინისტრაციას.
2. სტუ-ის ადმინისტრაციის დამხმარე პერსონალის კანდიდატურებს, სტუ-ის საშტატო განრიგის მიხედვით, ადმინისტრაციის სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელები წარუდგენენ სტუ-ის ადმინისტრაციას.

სპიკერმა კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგის პირველი საკითხის გ) პუნქტი – სტუ-ის დამხმარე პერსონალის სამსახურში მიღების წესის დამტკიცება. წარმოდგენილ საკითხს კენჭი ეყარა ერთხმად.

წარმომადგენლობითი საბჭოს
2009 წლის 28 დეკემბრის №43 სხდომის
ბ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №5

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2009 წლის 28 დეკემბრის №43 სხდომაზე, სტუ-ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის, პროფ. ქეთევან ქოქრაშვილის მიერ წარმოდგენილ იქნა საკითხი სტუ-ის დამხმარე პერსონალის სამსახურში მიღების წესის (აკადემიური საბჭოს №189 დადგენილება) დამტკიცების შესახებ (იხ. დანართი № 7, 7²).

კერძოდ:

1. ფაკულტეტების დამხმარე პერსონალის კანდიდატურებს, სტუ-ის საშტატო განრიგის მიხედვით, ფაკულტეტის დეკანები, ფაკულტეტის სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელებთან შეთანხმებით, წარუდგენენ სტუ-ის ადმინისტრაციას.
2. სტუ-ის ადმინისტრაციის დამხმარე პერსონალის კანდიდატურებს, სტუ-ის საშტატო განრიგის მიხედვით, ადმინისტრაციის სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელები წარუდგენენ სტუ-ის ადმინისტრაციას.

წარმომადგენლობითი საბჭოს წევრთა გადაწყვეტილებით, ერთხმად დამტკიცდა სტუ-ის დამხმარე პერსონალის სამსახურში მიღების წესი წარმოდგენილი სახით.

სპიკერი – გადავიდეთ დღის წესრიგის პირველი საკითხის დ) პუნქტზე – სტუ-ში დაცვისა და უსაფრთხოების განყოფილების შექმნისა და ამ განყოფილების დებულების დამტკიცება – მომსახურებელი ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი (იხ. დანართი 12).

პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი – საშტატო განრიგში გაჩნდა დაცვის სამსახური. მათ აქვთ დებულება, რომელიც მოითხოვს დამტკიცებას.

სპიკერმა კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგის პირველი საკითხის დ) პუნქტი – სტუ-ში დაცვისა და უსაფრთხოების განყოფილების შექმნისა და ამ განყოფილების დებულების დამტკიცება. წარმოდგენილ საკითხს კენჭი ეყარა ერთხმად.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
წარმომადგენლობითი საბჭოს
2009 წლის 28 დეკემბრის №43 სხდომის
ბ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №15

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2009 წლის 28 დეკემბრის №43 სხდომაზე, სტუ-ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის, პროფ.

ქეთევან ქოქრაშვილის მიერ წარმოდგენილ იქნა საკითხი სტუ-ში დაცვისა და უსაფრთხოების სამსახურის შექმნის და მისი დებულების დამტკიცების შესახებ.

წარმომადგენლობითი საბჭოს წევრთა გადაწყვეტილებით, ერთხმად დამტკიცდა სტუ-ში დაცვისა და უსაფრთხოების სამსახურის შექმნის საკითხი, ასევე დამტკიცდა ამ სამსახურის დებულება (იხ. დანართი №12).

სპიკერი – გადავიდეთ დღის წესრიგის პირველი საკითხის ე) პუნქტზე – სტუ-ის ზოგიერთი თანამშრომლისათვის სახელფასო დანამატების დამტკიცება – მომხსენებელი სტუ-ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი (იხ. დანართი 6).

პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი – ზოგიერთი თანამშრომლისათვის სახელფასო დანამატი შემდგენაირად განისაზღვრა: სტუ-ის აკადემიურ საბჭოს მდივნის სახელფასო დანამატი ნაცვლად 550 ლარისა განისაზღვროს 800 ლარით. საგეგმო-საფინანსო დეპარტამენტის უფროსი – 500 ლარი, აღრიცხვა-ანგარიშგების დეპარტამენტის უფროსი – 500 ლარი, სამეურნეო და საექსპლუატაციო-სარემონტო დეპარტამენტის უფროსი – 500 ლარი; იურიდიული დეპარტამენტის უფროსი – 500 ლარი და იურიდიული დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი (1 საშტატო ერთეული) – 300 ლარი.

სპიკერმა კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგის პირველი საკითხის ე) პუნქტი – სტუ-ის ზოგიერთი თანამშრომლისათვის სახელფასო დანამატის დამტკიცება. წარმოდგენილ საკითხს კენჭი ეყარა ერთხმად.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

წარმომადგენლობითი საბჭოს

2009 წლის 28 დეკემბრის №43 სხდომის

ბ ა დ ა ვ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №3

წარმომადგენლობითი საბჭოს 2009 წლის 28 დეკემბრის №43 სხდომაზე, სტუ-ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა წარმოადგინა საკითხი, სტუ-ის ზოგიერთი თანამშრომლისათვის სახელფასო დანამატების განსაზღვრის შესახებ.

წარმომადგენლობითმა საბჭომ ერთხმად გადაწყვიტა – დაენიშნოთ დანამატები, 2010 წლის პირველი იანვრიდან სტუ-ის შემდეგ თანამშრომლებს:

- სტუ-ის აკადემიური საბჭოს მდივანი – 800 ლარი,
- საგეგმო-საფინანსო დეპარტამენტის უფროსი – 500 ლარი,
- აღრიცხვა-ანგარიშგების დეპარტამენტის უფროსი – 500 ლარი,

- სამეურნეო და საექსპლუატაციო-სარემონტო დეპარტამენტის უფროსი – 500 ლარი;
- იურიდიული დეპარტამენტის უფროსი – 500 ლარი;
- იურიდიული დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი (1 საშტატო ერთეული) – 300 ლარი (დანართი №6).

სპიკერი – გადავიდეთ დღის წესრიგის პირველი საკითხის ვ) პუნქტზე – სტუ-ის მოიჯარეთა განცხადებების განხილვა – მომსხენებელი სტუ-ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი (იხ. დანართი 6).

პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი – ზოგიერთმა მოიჯარემ შეწყვიტა თანხის გადახდა. ჩვენთვის ფინანსები უფრო პრიორიტეტულია, ვიდრე მათი მდგომარეობა და ყველა შემთხვევაში ვმოქმედებთ კანონის შესაბამისად. ზოგიერთი მათგანი საერთოდ არ გამოჩნდა, ვისაც ცოტა აქვს დარჩენილი, მათ ვაცლით, რამდენიმე მოიჯარეს აქვს გარკვეული დავალიანება და გვთხოვენ გადავადებას. ესენია:

1. ბენედიქტე გეგეჭკორი, რომლის ორი ობიექტის ვალი 28 700 დოლარს შეადგენს. ამ ადამიანმა მოგემართა განცხადებით და გვთხოვა გადახდის ვადა გაუგრძელოთ 2010 წლის 25 იანვრამდე.
2. მოიჯარე ნოდარ მუსერიძე – 8 600 დოლარი, დაფარავს 6 თვის ვადაში. VII სასწავლო კორპუსი I სართული, ითხოვს ქვეიჯარასაც. მისდა სასიკეთოდ უნდა ვთქვა, რომ ვალი ჰქონდა 13 000 დოლარი და ნაწილი უკვე დაფარა.
3. შპს "კენგურუ" – სახინკლე. დაუგროვდა 18 520 დოლარი. ამბობს, რომ ყოველთვიურად გადაიხდის გადასახადს და ამ ვალის ნაწილს 2 წლის განმავლობაში დაფარავს.

უპრიანი იქნება მივცეთ რამდენიმე თვე. პირობითად 6 თვე (ქირა + დავალიანების ნაწილი) და ვნახოთ რამდენად გადამხდელნი იქნებიან.

სპიკერი – თუ არ გადაიხდა რას მოვიმოქმედებთ?

პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი – ამ შემთხვევაში ვწყვეტთ ხელშეკრულებას და სარჩელი შეგვაქვს სასამართლოში.

პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი – შევიტანეთ სარჩელი კავკასიის ბიზნეს სკოლასთან დაკავშირებით. 25 დეკემბერს მათი დავალიანება 500 000 ლარს შეადგენდა. თუმცა მოსარჩელეს შეუძლია შეცვალოს მოთხოვნა. ვაცხადებთ

ტენდერს ამ ფართზე და თუ შემოიტანს განცხადებას, ისიც მიიღებს მონაწილეობას.

პროფ. მალხაზ ხუციშვილი – რომელ ფართობზეა საუბარი: 900 მ² თუ 2000 მ², რომელიც რეალურად უკავიათ?

პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი – 900 მ²-ზე.

სპიკერმა კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგის პირველი საკითხის ვ) პუნქტი – სტუ-ის ზოგიერთი მოიჯარისთვის დავალიანების გადახდის ვადის გაგრძელების საკითხის დამტკიცება. წარმოდგენილ საკითხს კენჭი ეყარა ერთხმად.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

წარმომადგენლობითი საბჭოს

2009 წლის 28 დეკემბრის №43 სხდომის

ბ ა ღ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №6

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2009 წლის 28 დეკემბრის №43 სხდომაზე, სტუ-ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის, პროფ. ქეთევან ქოქრაშვილის მიერ წარმოდგენილ იქნა საკითხი სტუ-ის მოიჯარეთა განცხადებების განხილვის შესახებ.

წარმომადგენლობითი საბჭოს წევრთა გადაწყვეტილებით, ერთხმად დამტკიცდა: მოიჯარეებს: შპს „კენგურუს“, შპს „მეგატრონს“ და ფიზიკურ პირს ბენედიქტე გეგეჭკორს გადაუვადდეთ საიჯარო ქირის დავალიანების დაფარვის ვადები მათ მიერ შემოთავაზებული გრაფიკის მიხედვით.

1. ნება დაერთოს მოიჯარე ბენედიქტე გეგეჭკორს, რომელსაც იჯარით აქვს აღებული 2 ობიექტი (IV სასწ/კორპ. IV სართ. და VIII სასწ/კორპ. I სართ. და დავალიანება შეადგენს 28 700 ამერიკულ დოლარს, გადახდის თარიღი გაუგრძელდეს 2010 წლის 25 იანვრამდე;
2. ნება დაერთოს მოიჯარე ნოდარ მუსერდიძეს, რომელსაც იჯარით აქვს აღებული 1 ობიექტი (VII სასწ/კორპ. I სართ.) და დავალიანება შეადგენს 8 600 ამერიკულ დოლარს, გადახდის თარიღი გაუგრძელდეს 6 თვით;
3. ნება დაერთოს მოიჯარე შპს. კენგურუს, რომელსაც იჯარით აქვს აღებული 1 ობიექტი (კოსტავას ქ. №68, I სასწ/კორპ. ე.წ. ვერანდა, 550 მ²) და დავალიანება შეადგენს 18 520 ამერიკულ დოლარს, მიეცეს 6 თვე გამოსაცდელი ვადა დაგროვილი დავალიანების ეტაპობრივი და ყოველთვიური გადასახადის ერთდროულად დაფარვისათვის (იხ. დანართი №6).

სპიკერი – გადავიდეთ დღის წესრიგის პირველი საკითხის ზ) პუნქტზე – სტუ-ის თანამშრომელთა პრემირების საკითხის დამტკიცება – მომხსენებელი

სტუ-ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი (იხ. დანართი 6, 6¹).

პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი – ადმინისტრაციამ იმსჯელა და მოახდინა ფინანსების მაქსიმალური ორგანიზება. ფაკულტეტებს გამოეყო განსაზღვრული თანხა და თვითონ მიიღებენ გადაწყვეტილებას, რომელ თანამშრომელს პრემიის სახით რა თანხა მისცენ. აქ არ იგულისხმება დეკანების პრემია, რომელსაც ადმინისტრაცია თავისი ფონდიდან ხელფასის 100% აძლევს. გარდა ამისა, გადაწყდა აკადემიური და წარმომადგენლობითი საბჭოს წევრების პრემია შეივსოს 100%-მდე. რაც შეეხება ადმინისტრაციას, 100% გაცივმა მხოლოდ ძველ თანამშრომლებზე, ახალი თანამშრომლები მიიღებენ 50%. გაცივებული პრემიები შემდეგნაირად განაწილდა: ფაკულტეტები – 402 267 ლარი; აკადემიური საბჭო – 6 185 ლარი; წარმომადგენლობითი საბჭო – 18 875 ლარი; ადმინისტრაცია – 95 485 ლარი; სულ: 522 812 ლარი.

სპიკერმა კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგის პირველი საკითხის ზ) პუნქტი. წარმოდგენილ საკითხს კენჭი ეყარა ერთხმად.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

წარმომადგენლობითი საბჭოს

2009 წლის 28 დეკემბრის №43 სხდომის

ბ ა დ ა ვ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №7

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2009 წლის 28 დეკემბრის №43 სხდომაზე, სტუ-ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის, პროფ. ქეთევან ქოქრაშვილის მიერ წარმოდგენილ იქნა საკითხი სტუ-ის თანამშრომლებზე საშობაო-საახალწლო პრემიის გაცემის შესახებ.

2009 წლის მოსალოდნელი წლიური შედეგებისა და შემოსავლების წლიური გეგმების შესრულების მიხედვით, სტუ-ის ადმინისტრაციას საშუალება აქვს ანგარიშსწორების ანგარიშზე არსებული სახსრებისა და მომავალი წლის პირველი თვის სახელფასო ფონდის დაფინანსების გათვალისწინებით გასცეს საშობაო-საახალწლო პრემია, მთელი უნივერსიტეტის მასშტაბით, საერთო თანხით 522 812 ლარის რაოდენობით.

წარმომადგენლობითი საბჭოს წევრთა გადაწყვეტილებით, ერთხმად დამტკიცდა – სტუ-ის თანამშრომლებისათვის საშობაო პრემიის გასაცემად გამოიყოს 522 812 ლარი (იხ. დანართი №6, 6¹).

პროფ. აგული სოსაძე – ჩვენი პრემიის თანხაზე, როგორ იქნება საქმე?

პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი – 2009 წლისთვის ფაკულტეტის ბიუჯეტიდან თანამშრომლებსა და სტუდენტებზე პრემიების გასაცემად სამშენებლო ფაკულტეტს 8 000 ლარი ჰქონდა გამოყოფილი. ამ თანხიდან 2 180 ლარი დარჩა. გეთხოვენ, ეს დარჩენილი თანხა დაუშვტკიცოთ პრემიისთვის.

სპიკერი – თუ თანხა პრემიისთვის იყო გამოყოფილი, მაშინ დამტკიცება არ სჭირდება, რადგან ბიუჯეტში არავითარი ცვლილება არ ხდება. მათ შეუძლიათ ეს თანხა განკარგონ მიზნობრივად.

სპიკერი – გადავიდეთ დღის წესრიგის პირველი საკითხის თ) პუნქტზე – სტუ-ის ნაგებობების, სპეციალური სისტემებისა და საინჟინრო უზრუნველყოფის ინსტიტუტის ბიუჯეტში შესატანი ცვლილებების დამტკიცება – მომხსენებელი სტუ-ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი (იხ. დანართი 6, 6²).

პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი – სტუ-ის ნაგებობების, სპეციალური სისტემებისა და საინჟინრო უზრუნველყოფის ინსტიტუტის ბიუჯეტში შესატანია კორექტივები. ბიუჯეტის ერთი პუნქტიდან თანხის გადატანა ხდება მეორე პუნქტში, კერძოდ, საქონელი და მომსახურების მუხლში მოხდეს შიგა მუხლობრივი ცვლილება: გათბობის ხარჯების გრაფიდან (მე-3 პუნქტი) გადატანილ იქნეს: 190 ლარი იგივე მუხლის "საოფისე ტექნიკის, ინვენტარისა და მოწყობილობის შეძენის" გრაფაში, 463 ლარი "საკანცელარიო საქონლის შეძენის" ხარჯების მუხლში, 60 ლარი "სანიტარიული საგნებისა და მასალების შეძენის" ხარჯებში (მე-3 პუნქტი); ამავე დროს ბიუჯეტში წარმოქმნილი ეკონომიები, კერძოდ, ხელფასის ფონდში – 17.652 ლარი, შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურების ფონდში – 1651 ლარი და საქონლისა და მომსახურების მუხლში არსებული წლიური ეკონომიიდან (14754 ლარი), მე-4 კვარტლის ეკონომია, 5058 ლარი გადატანილ იქნეს შრომის ანაზღაურების მუხლში. მიღებული 24361 ლარი გაიცეს უნივერსიტეტის თანამშრომლებზე პრემიის სახით.

სპიკერმა კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგის პირველი საკითხის თ) პუნქტი. წარმოდგენილ საკითხს კენჭი ეყარა ერთხმად.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

წარმომადგენლობითი საბჭოს

2009 წლის 28 დეკემბრის №43 სხდომის

ბ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №8

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2009 წლის 28 დეკემბრის №43 სხდომაზე, სტუ-ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის, პროფ. ქეთევან ქოქრაშვილის მიერ წარმოდგენილ იქნა საკითხი სტუ-ის ნაგებობების, სპეციალური სისტემებისა და საინჟინრო უზრუნველყოფის ინსტიტუტის ბიუჯეტში შესატანი ცვლილებების დამტკიცების შესახებ.

წარმომადგენლობითი საბჭოს წევრთა გადაწყვეტილებით, ერთხმად დამტკიცდა სტუ-ის ნაგებობების, სპეციალური სისტემებისა და საინჟინრო უზრუნველყოფის ინსტიტუტის 2009 წლის ბიუჯეტში შესატანი ცვლილებები, კერძოდ: საქონელი და მომსახურების მუხლში მოხდეს შიგამუხლობრივი ცვლილება: გათბობის ხარჯების გრაფიდან (მე-3 პუნქტი) გადატანილ იქნეს: 190 ლარი იგივე მუხლის "საოფისე ტექნიკის, ინვენტარისა და მოწყობილობის შეძენის" გრაფაში, 463 ლარი "საკანცელარიო საქონლის შეძენის" ხარჯების მუხლში, ხოლო 60 ლარი "სანიტარიული საგნებისა და მასალების შეძენის" ხარჯებში (მე-3 პუნქტი); ამავე დროს ბიუჯეტში წარმოქმნილი ეკონომიები, კერძოდ: ხელფასის ფონდში – 17.652 ლარი, შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურების ფონდში – 1651 ლარი და საქონლისა და მომსახურების მუხლში არსებული წლიური ეკონომიიდან (14754 ლარი) მე-4 კვარტლის ეკონომია 5058 ლარი გადატანილ იქნეს შრომის ანაზღაურების მუხლში და მიღებული 24361 ლარი გაიცეს უნივერსიტეტის თანამშრომლებზე პრემიის სახით (იხ. დანართი №6, 6).

სპიკერი – გადავიდეთ დღის წესრიგის პირველი საკითხის ი) პუნქტზე – სტუ-ის არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის ბიუჯეტში შესატანი ცვლილებების დამტკიცება. მომხსენებელი სტუ-ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი (იხ. დანართი 8).

პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი – სტუ-ის არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის ბიუჯეტში შესატანია ცვლილება. ფაკულტეტის 2009 წლის ბიუჯეტიდან სპორტული ღონისძიებების და სტუდენტთა სოციალური პროგრამების მუხლიდან 320 ლარი გადატანილ იქნეს კულტურული ღონისძიებების (საახალწლო ინვენტარის შესაძენად) მუხლში.

სპიკერმა კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგის პირველი საკითხის ი) პუნქტი. წარმოდგენილ საკითხს კენჭი ეყარა ერთხმად.

2009 წლის 28 დეკემბრის №43 სხდომის

ბ ა დ ა ვ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №9

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2009 წლის 28 დეკემბრის №43 სხდომაზე, სტუ-ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის, პროფ. ქეთევან ქოქრაშვილის მიერ წარმოდგენილ იქნა საკითხი სტუ-ის არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტის 2009 წლის ბიუჯეტში შესატანი ცვლილებების დამტკიცების შესახებ, კერძოდ: ფაკულტეტის 2009 წლის ბიუჯეტიდან სპორტული ღონისძიებები და სტუდენტთა სოციალური პროგრამების მუხლიდან 320 ლარი გადატანილ იქნეს კულტურული ღონისძიებების (საახალწლო ინვენტარის შესაძენად) მუხლში.

წარმომადგენლობითი საბჭოს წევრთა გადაწყვეტილებით, ერთხმად დამტკიცდა სტუ-ის არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტის 2009 წლის ბიუჯეტში შესატანი ცვლილებები (იხ. დანართი №8).

სპიკერი – გადავიდეთ დღის წესრიგის მეორე საკითხზე – მოწვეული პროფესორების და მასწავლებლების სტატუსის შესახებ აკადემიური საბჭოს №187 დადგენილების დამტკიცება – მომხსენებელი სტუ-ის რექტორი, პროფ. არჩილ ფრანგიშვილი (იხ. დანართი 7, 7¹).

სტუ-ის რექტორი, პროფ. არჩილ ფრანგიშვილი – მოწვეულ პროფესორებს, რომლებსაც საათობრივი ტარიფი განესაზღვრათ 13.40 ლარით, ეწოდოთ "ა" კატეგორიის მოწვეული პროფესორები და შეყვანილ იქნენ საშტატო განრიგში; მოწვეულ პროფესორებს, რომლებსაც საათობრივი ტარიფი განესაზღვრათ 18 ლარით, ეწოდოთ "ს" კატეგორიის მოწვეული პროფესორები და შეყვანილ იქნენ საშტატო განრიგში; მასწავლებლები, რომელთა დატვირთვა შეადგენს 600 ან 300 საათს, ასევე შეყვანილ იქნენ საშტატო განრიგში.

სპიკერმა კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგის მეორე საკითხი. წარმოდგენილ საკითხს კენჭი ეყარა ერთხმად.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

წარმომადგენლობითი საბჭოს

2009 წლის 28 დეკემბრის №43 სხდომის

ბ ა დ ა ვ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №4

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2009 წლის 28 დეკემბრის №43 სხდომაზე, სტუ-ის რექტორის, პროფ. არჩილ ფრანგიშვილის

მიერ წარმოდგენილ იქნა საკითხი სტუ-ის მოწვეული პროფესორებისა და მასწავლებლების სტატუსის შესახებ აკადემიური საბჭოს №187 დადგენილების დამტკიცება (იხ. დანართი №7, 7¹).

წარმომადგენლობითი საბჭოს წევრთა გადაწყვეტილებით, ერთხმად დამტკიცდა:

- 1. მოწვეულ პროფესორებს, რომლებსაც საათობრივი ტარიფი განესაზღვრათ 13.40 ლარით, ეწოდოთ "ა" კატეგორიის მოწვეული პროფესორები;*
- 2. მოწვეულ პროფესორებს, რომლებსაც საათობრივი ტარიფი განესაზღვრათ 18 ლარით, ეწოდოთ "ბ" კატეგორიის მოწვეული პროფესორები;*
- 3. მოწვეულ პროფესორები, უფროსი მასწავლებლები, მასწავლებლები რომელთა დატვირთვა 600 ან 300 საათს შეადგენს, შეყვანილ იქნენ საშტატო განრიგში.*

სპიკერი – გადავიდეთ დღის წესრიგის მესამე საკითხზე – სტუ-ის სამეცნიერო-კვლევითი და სამეცნიერო-საინჟინრო ცენტრების შექმნის წესისა და დებულების პროექტების დამტკიცება – მომხსენებელი პროფ. ზაზა მიქაძე (იხ. დანართი 9).

პროფ. ზაზა მიქაძე – მოგახსენებთ სტუ-ში თვითდაფინანსებაზე მყოფი სტრუქტურული ერთეულების შექმნისა და ლიკვიდაციის წესს:

1. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტში (შემდგომში სტუ) თვითდაფინანსებაზე მყოფი საუნივერსიტეტო ან საფაკულტეტო სასწავლო-სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულის (შემდგომში ერთეული) შექმნა და შესაბამისი დებულების დამტკიცება ხორციელდება სტუ-ის აკადემიური და წარმომადგენლობითი საბჭოების დადგენილებით. ამასთან, საფაკულტეტო ერთეულის შექმნისას დამატებით სავალდებულოა შესაბამისი ფაკულტეტის საბჭოს დადგენილება;
2. ერთეულის დებულების პროექტი უნდა შეესაბამებოდეს სტუ-ის აკადემიური და წარმომადგენლობითი საბჭოების მიერ დამტკიცებულ ტიპურ დებულებას (თან ერთვის);
3. საუნივერსიტეტო ერთეულის დებულების პროექტს აკადემიური და წარმომადგენლობითი საბჭოების წინაშე განსახილველად წარადგენს რექტორის შესაბამისი მიმართულების მოადგილე, სტუ-ის სამართლებრივი უზრუნველყოფის განყოფილების დასკვნასთან ერთად.

საფაკულტეტო ერთეულის დებულების პროექტი დამატებით ექვემდებარება წინასწარ შესაბამისი ფაკულტეტის საბჭოზე დამტკიცებას, რაც ხორციელდება ამავე ფაკულტეტის დეკანის წარდგინებით;

4. წარმომადგენლობითი ორგანოების შესაბამისი დადგენილებების საფუძველზე სტუ-ის რექტორი გამოსცემს ბრძანებას ერთეულის შექმნის შესახებ;
5. შექმნილი სტრუქტურული ერთეულის დებულება სტუ-ის სამერთლებრივი უზრუნველყოფის განყოფილების შესაბამის დასკვნასთან ერთად და წარმომადგენლობითი ორგანოების შესაბამისი დადგენილებების ასლები ბარდება სამართლებრივი უზრუნველყოფის განყოფილებას, აკადემიურ და წარმომადგენლობით საბჭოებს, კომერციალიზაციის, მეცნიერებისა და სწავლების დეპარტამენტებს.

საფაკულტეტო ერთეულის შემთხვევაში ზემოაღნიშნული დოკუმენტაცია დამატებით ბარდება ფაკულტეტის დეკანის მოადგილეებს, რომლებიც კოორდინაციას უწევენ სტრუქტურული ერთეულების ფუნქციონირებას ფაკულტეტზე;

6. ერთეულის საქმიანობის გაგრძელების, შეჩერების ან შეწყვეტის (ლიკვიდაციის) საკითხი წყდება, ამ სტრუქტურული ერთეულის წლიური/მიმდინარე ანგარიშის განხილვის საფუძველზე, აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილებით, რომელსაც ამტკიცებს წარმომადგენლობითი საბჭო.
7. წინამდებარე წესი ძალაშია აკადემიურ და წარმომადგენლობით საბჭოებზე დამტკიცების დღიდან.

წესთან დაკავშირებით შეკითხვები არ იყო და სპიკერმა საკითხი პირდაპირ კენჭისყრაზე დააყენა. წარმოდგენილ საკითხს კენჭი ეყარა ერთხმად.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

წარმომადგენლობითი საბჭოს

2009 წლის 28 დეკემბრის №43 სხდომის

ბ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №11

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2009 წლის 28 დეკემბრის №43 სხდომაზე ბ-ნ ზაზა მიქაძის მიერ წარმოდგენილ იქნა საკითხი სტუ-ის სამეცნიერო-კვლევითი და სამეცნიერო-საინჟინრო ცენტრების შექმნის წესისა და დებულების პროექტის დამტკიცების შესახებ.

წარმომადგენლობითი საბჭოს წევრთა გადაწყვეტილებით, ერთხმად დამტკიცდა სტუ-ის სამეცნიერო-კვლევითი და სამეცნიერო-საინჟინრო ცენტრების შექმნის წესი და დებულება წარმოდგენილი სახით (იხ. დანართი №9).

სპიკერი – გადავიდეთ დღის წესრიგის მეოთხე საკითხზე – სტუ-ში კვალიფიკაციის ამაღლების და გადამზადების ცენტრის დებულების დამტკიცება – მომხსენებელი სტუ-ის რექტორი, პროფ. არჩილ ფრანგიშვილი (იხ. დანართი 11, 11²).

სპიკერმა კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგის მეოთხე საკითხი. წარმოდგენილ საკითხს კენჭი ეყარა ერთხმად.

**საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
წარმომადგენლობითი საბჭოს
2009 წლის 28 დეკემბრის №43 სხდომის
ბ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №14**

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2009 წლის 28 დეკემბრის №43 სხდომაზე, სტუ-ის რექტორის, პროფ არჩილ ფრანგიშვილის მიერ წარმოდგენილ იქნა საკითხი სტუ-ში კვალიფიკაციის ამაღლებისა და გადამზადების ცენტრის შექმნისა და ამ ცენტრის დებულების დამტკიცების შესახებ.

წარმომადგენლობითი საბჭოს წევრთა გადაწყვეტილებით, ერთხმად დამტკიცდა სტუ-ში კვალიფიკაციის ამაღლებისა და გადამზადების ცენტრის შექმნის საკითხი, ასევე დამტკიცდა ამ ცენტრის დებულება (იხ. დანართი №11, 1²).

სპიკერი – გადავიდეთ დღის წესრიგის მეხუთე საკითხზე – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტში თეორიული ფიზიკისა და ნანოოპტიკის სამეცნიერო კვლევითი ცენტრის შექმნისა და ამ ცენტრის დებულების დამტკიცება – მომხსენებელი პროფ. ზ. მიქაძე (იხ. დანართი 10).

პროფ. ზაზა მიქაძემ წარმოადგინა თეორიული ფიზიკისა და ნანოოპტიკის სამეცნიერო კვლევითი ცენტრის დებულება. დებულებასთან დაკავშირებით

შეკითხვები არ იყო და სპიკერმა კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგის მეხუთე საკითხი. წარმოდგენილ საკითხს კენჭი ეყარა ერთხმად.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

წარმომადგენლობითი საბჭოს

2009 წლის 28 დეკემბრის №43 სხდომის

ბ ა დ ა ვ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №12

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2009 წლის 28 დეკემბრის №43 სხდომაზე ბ-ნ ზაზა მიქაძის მიერ წარმოდგენილ იქნა საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში თვითდაფინანსების პრინციპზე დაფუძნებული "თეორიული ფიზიკისა და ნანოოპტიკის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის" შექმნისა და ამ ცენტრის დებულების დამტკიცების საკითხი.

წარმომადგენლობითი საბჭოს წევრთა გადაწყვეტილებით, ერთხმად დამტკიცდა – სტუ-ში თვითდაფინანსების პრინციპზე დაფუძნებული "თეორიული ფიზიკისა და ნანოოპტიკის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის" შექმნის საკითხი, ასევე დამტკიცდა ამ ცენტრის დებულება (იხ. დანართი №10).

სპიკერი – გადავიდეთ დღის წესრიგის მეექვსე საკითხზე – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამშენებლო ფაკულტეტზე წყლის ხარისხისა და ტექნოლოგიების სამეცნიერო ცენტრის შექმნისა და ამ ცენტრის დებულების დამტკიცება – მომხსენებელი პროფ. ზაურ ციხელაშვილი – (იხ. დანართი 11, 11¹).

პროფ. ზაურ ციხელაშვილმა წარმოადგინა სამშენებლო ფაკულტეტზე წყლის ხარისხისა და ტექნოლოგიების სამეცნიერო ცენტრის დებულება. დებულებასთან დაკავშირებით შეკითხვები არ იყო და სპიკერმა კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგის მეექვსე საკითხი. წარმოდგენილ საკითხს კენჭი ეყარა ერთხმად.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

წარმომადგენლობითი საბჭოს

2009 წლის 28 დეკემბრის №43 სხდომის

ბ ა დ ა ვ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №13

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2009 წლის 28 დეკემბრის №43 სხდომაზე ბ-ნ ზაურ ციხელაშვილის მიერ წარმოდგენილ იქნა საკითხი სტუ-ის სამშენებლო ფაკულტეტზე თვითდაფინანსების პრინციპზე დაფუძნებული, წყლის ხარისხისა და ტექნოლოგიების სამეცნიერო ცენტრის შექმნისა და ამ ცენტრის დებულების დამტკიცების შესახებ.

წარმომადგენლობითი საბჭოს წევრთა გადაწყვეტილებით, ერთხმად დამტკიცდა სტუ-ის სამშენებლო ფაკულტეტზე თვითდაფინანსების პრინციპზე დაფუძნებული, წყლის ხარისხისა და ტექნოლოგიების სამეცნიერო ცენტრის შექმნის საკითხი, ასევე დამტკიცდა ამ ცენტრის დებულება (იხ. დანართი №11, 11¹).

სპიკერი – გადავიდეთ დღის წესრიგის მეშვიდე საკითხზე – სტუ-ის ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის სტუდენტთა (გ. ფირცხალავას, ა. ვახანიას, ვ. სარიას და გ. მოსულიშვილის) განცხადებების განხილვა და აკადემიური საბჭოს №191 დადგენილების დამტკიცება – მომხსენებელი პროფ. ზ. წვერაიძე (დანართი 7, 7⁴).

პროფ. ზურაბ წვერაიძე – მოგახსენებთ სტუ-ის ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის სტუდენტთა (გ. ფირცხალავას, ა. ვახანიას, ვ. სარიას და გ. მოსულიშვილის) განცხადებების შინაარსს. ისინი უკიდურესი გაჭირვების გამო ითხოვენ გათავისუფლდნენ საჯარიმო სანქციებისგან.

საბჭოს წევრებმა მხარი დაუჭირეს პროფ. ზურაბ წვერაიძის შუამდგომლობას. სპიკერმა კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგის მეშვიდე საკითხი. წარმოდგენილ საკითხს კენჭი ეყარა ერთხმად.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

წარმომადგენლობითი საბჭოს

2009 წლის 28 დეკემბრის №43 სხდომის

ბ ა დ ა ვ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №16

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2009 წლის 28 დეკემბრის №43 სხდომაზე, სტუ-ის ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის დეკანის, პროფ. ზურაბ წვერაიძის მიერ წარმოდგენილ იქნა საკითხი ზემოაღნიშნული ფაკულტეტის სტუდენტთა: გ. ფირცხალავას, ა. ვახანიას, გ. მოსულიშვილის და ვ. სარიას განცხადებების შესახებ.

წარმომადგენლობითი საბჭოს წევრთა გადაწყვეტილებით, ერთხმად დამტკიცდა:

- 1. სტუ-ის ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის სტუდენტები:*
გ. ფირცხალავა, ა. ვახანია და გ. მოსულიშვილი გათავისუფლდნენ სასაგნო

კრედიტების გადასახადისაგან;

2. სტუდენტი ვ. სარია გათავისუფლდეს სასაგნო კრედიტისა და სწავლების გადასახადისაგან (იხ. დანართი №7, 7^ა).

მიმდინარე საკითხები:

სპიკერი – გადავიდეთ მიმდინარე საკითხებზე. სიტყვას გადავცემ სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტის დეკანს, პროფ. ოთარ გელაშვილს (იხ. დანართი 13).

პროფ. ოთარ გელაშვილი – მოგახსენებთ, რომ ჩვენი ფაკულტეტის მაგისტრატურის "ტრანსპორტის მენეჯმენტის" სპეციალობის მაგისტრანტმა ლია მძლავრის ასულმა ჭოჭუამ დაამთავრა მაგისტრატურის სწავლების თეორიული კურსი და გადასახდელი აქვს II კურსის II სემესტრის სწავლის გადასახადი – 937,50 ლარი. იგი 2008 წლის აგვისტოს ომში დაღუპული ჩვენი ფაკულტეტის მაგისტრანტის ლევან მძლავრის ძე ჭოჭუას დაა. ფაკულტეტი წარმომადგენლობითი საბჭოს წინაშე შუამდგომლობას უწევს, რათა მაგისტრანტი ლია ჭოჭუა გათავისუფლებულ იქნეს II კურსის II სემესტრის სწავლის საფასურის გადასახადისგან.

სპიკერმა კენჭისყრაზე დააყენა სატრანსპორტო ფაკულტეტის მაგისტრანტის ლია ჭოჭუას საკითხი. საბჭომ ერთხმად დაუჭირა მხარი წარმოდგენილ შუამდგომლობას.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

წარმომადგენლობითი საბჭოს

2009 წლის 28 დეკემბრის №43 სხდომის

ბ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №17

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2009 წლის 28 დეკემბრის №43 სხდომაზე, სტუ-ის სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტის დეკანის, პროფ. ოთარ გელაშვილის მიერ წარმოდგენილ იქნა საკითხი ზემოაღნიშნული ფაკულტეტის სტუდენტის ლ. ჭოჭუას განცხადების შესახებ.

წარმომადგენლობითი საბჭოს წევრთა გადაწყვეტილებით, ერთხმად დამტკიცდა – სტუ-ის სტუდენტი ლია ჭოჭუა გათავისუფლდეს II კურსის II სემესტრის სწავლების გადასახადისაგან (იხ. დანართი №13).

სპიკერმა, პროფ. ეკატერინე თევზაძემ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებს აუწყა, რომ დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები ამოიწურა, საბჭოს წევრებს მადლობა გადაუხადა სხდომაში მონაწილეობისთვის და სხდომა დახურულად გამოაცხადა.

წარმომადგენლობითი საბჭოს
სპიკერი, სრული პროფესორი

/ეკატერინე თევზაძე/

სხდომის მდივანი,
ასოცირებული პროფესორი

/ვინა გურეშიძე/